სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორების სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ რექტორის 2026 წლის 10 ივნისის № 146/01-01 ბრძანების საფუძველზე, კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის პრაქტიკული ინფორმატიკის კათედრაზე გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2026 წლის 22 ივნისის № 37/2026 დადგენილების მე-3 პუნქტის საფუძველზე დამტკიცებული საკონკურსო კომისიის სხდომის

შემაჯამებელი ოქმი

ქ. თბილისი **24** ივლისი 2026 წ.
თსუ XI კორპ. ოთახი #324 15:00 სთ.

სხდომას ესწრებოდნენ:

1. მანანა ხაჩიძე - თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი (კომისიის თავმჯდომარე);
2. მაგდა ცინცაძე - თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე);
3. მაია არჩუაძე - თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი (კომისიის მდივანი);
4. ტარიელ ხვედელიძე - თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
5. გელა ბესიაშვილი - თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი.

დღის წესრიგი:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის პრაქტიკული ინფორმატიკის კათედრაზე ასოცირებული პროფესორის (1 საშტატო ერთეული - „ა“ კატეგორია) სამსახურში მისაღებად გამოცხადებულ კონკურსში შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების განხილვა, ურთიერთშეჯერება და შეჯამება.
2. კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსთვის დასამტკიცებლად გადაცემა.

მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარის პროფესორ მანანა ხაჩიძის ინფორმაცია საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსის ორივე ეტაპის ჩატარებისა და ფარული კენჭისყრის შედეგების შესახებ. აღინიშნა, რომ კანდიდატის საკონკურსო დოკუმენტაცია იყო დალუქულ მდგომარეობაში და მისი ლუქებისა და შეფუთვის სიმთელე დარღვეული არ იყო.
კონკურსის პირველ ეტაპზე საკონკურსო კომისიის მიერ შემოწმდა საკონკურსო დოკუმენტაცია და შეფასდა კონკურსანტის წარმოდგენილ ანკეტაში (აკადემიური საბჭოს №118/2014 დადგენილების დანართი № 3) მოყვანილი ინფორმაცია კონკურსანტის შეფასების ფორმის მიხედვით (აკადემიური საბჭოს №118/2014 დადგენილების დანართი № 4).

კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის **პრაქტიკული ინფორმატიკის** კათედრის

ასოცირებული პროფესორის ერთი საკონკურსო თანამდებობის დასაკავებლად საბუთები შემოიტანა ერთმა კანდიდატმა

ირინა ხუციშვილმა - „ა“ კატეგორია.

კომისიის თავმჯდომარემ მიმოიხილა კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, გასაუბრებისა და კენჭისყრის შედეგები.

პრაქტიკული ინფორმატიკის კათედრის კონკურსანტის **ირინა ხუციშვილის** შეფასება:

კონკურსანტის **ირინა ხუციშვილის** განათლება, აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი, სამსახურეობრივი გამოცდილება და პედაგოგიური სტაჟი შეესაბამება ვაკანსიის პროფილს, რაც დასტურდება მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით და სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნებს. შესაბამისად, **I კატეგორიის** (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიხედვით კონკურსანტის შეფასებაა **„კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს“**.

შეფასების **II კატეგორია** (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან): კონკურსანტის პედაგოგიური გამოცდილება (2006-2010 წლებში იყო კომპიუტერულ მეცნიერებათა მიმართულების ასისტენტ-პროფესორი, ხოლო 2010 წლიდან დღემდე ეკავა კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის პრაქტიკული ინფორმატიკის კათედრის ასოცირებული პროფესორის თანამდებობა) და საერთო პედაგოგიური სტაჟი (1996 წლიდან დღემდე), მის მიერ შემოთავაზებული და წაკითხული ბაკალავრიატის 2 და მაგისტრატურის 3 სასწავლო კურსი (მათ შორის მაგისტრატურის ერთი კურსი თსუ–ის მოქმედ საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმაში შეტანილი არ არის, მაგრამ სამომავლოდ, პროგრამებში ცვლილების შეტანის შემდეგ, შეიძლება სასწავლო კურსად განხილულ იქნეს), სასწავლო-მეთოდური საქმიანობა (2 სახელმძღვანელო: „დაპროგრამების ენა C“, თსუ გამომცემლობა, 2009, თანაავტორები: თ. დავითაშვილი, ნ. არჩვაძე, ა. ჩიტალაძე, კ. გელაშვილი; „დაპროგრამების საფუძვლები (C ენის ბაზაზე)“, საგამომცემლო სახლი “ტექნიკური უნივერსიტეტი”, 2009, თანაავტორები: გ. სურგულაძე, გ. ჯანელიძე; 5 ელექტრონული საბაკალავრო კურსი Moodle პლატფორმაზე) შეესაბამება ვაკანსიის პროფილს. წარმოდგენილი სილაბუსების შინაარსი და ფორმა სრულად შეესაბამება თსუ-ში დადგენილ მოთხოვნებს.

კომისიის გადაწყვეტილებით II კატეგორიის მიხედვით კონკურსანტმა მიიღო შეფასება **„მაღალი“**.

შეფასების **III კატეგორია** (სამეცნიერო – კვლევითი საქმიანობა): ირინა ხუციშვილს წარმოდ-გენილი აქვს 11 პუბლიკაცია იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში, 22 სხვა მნიშვნელოვანი პუბლიკაცია, ბოლო 6 წლის მანძილზე მონაწილეობა მიიღო 3 საერთაშორისო და 2 ადგილობრივ კონფერენციაში, უკანასკნელ წლებში მონაწილეობდა 2 საგრანტო/სახელშეკრულებო პროექტში ძირითადი პერსონალის როლში (მონაცემთა ანალიზი, პროგრამირება), მისი ციტირების ინდექსია - 273; h-ინდექსი - 10; g-ინდექსი - 15, აქვს თანამშრომლობა უცხოეთის 3 სამეცნიერო ცენტრთან.

საკონკურსო კომისიისათვის შესაფასებლად წარმოდგენილი სტატია

Sirbiladze, G., Garg, H., **Khutsishvili**, I., Midodashvili, B., Gugunava, O.: Associated Probabilities' Aggregations in Fuzzy Collaborative Filtering Recommender System Prediction. International Journal of Fuzzy Systems 27 (1), 204-236 (2025).

არის მაღალი ხარისხის სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც გამოქვეყნებულია WEB of Science 3.1 იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალში.

წარმოდგენილ სამეცნიერო კონცეფციაში ნათლად ჩანს კონკურსანტის ხედვა სამეცნიერო და სასწავლო პროცესების ინტეგრირების აუცილებლობასთან დაკავშირებით. კონცეფციაში დაგეგმილი აქტივობები სრულად შეესაბამება ვაკანსიის პროფილს.
ამდენად, კონკურსანტის საერთო შეფასება III კატეგორიის ორივე ნაწილში არის „მაღალი“.

IV კატეგორია (სხვა სახის აქტივობა - ბოლო 6 წელი):

- საბაკალავრო სამეცნიერო მოხსენებების ხელმძღვანელი (2025, 2026 წლებში), 3 სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი და 2 სამაგისტრო ნაშრომის რეცენზენტი (2019-2021 წლებში), 2 დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი (2019-2021, 2026 წლებში) და დოქტორანტის სამეცნიერო ნაშრომის რეცენზენტი (2026 წელს);
- საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამის თანახელმძღვანელი - პროგრამა „კომპიუტერული მეცნიერება“ - 2020 წლიდან;
- საგანმანათლებლო სადოქტორო პროგრამის კოორდინატორი - პროგრამა „კომპიუტერული მეცნიერება“ - 2020 წლიდან;
- თსუ-ის ABET კომიტეტის წევრი, კომპიუტერულ მეცნირებათა დეპარტამენტის მრჩეველთა საბჭოს წევრი;
- თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დარგობრივი სადისერტაციო საბჭოს მდივანი (2012-2022 წწ.);
- თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს წევრი (2021-2024 წწ.);
- კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის პრაქტიკული ინფორმატიკის კათედრის გამგის მოვალეობის შემსრულებელი (2019-2022 წწ.);
- კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის სამეცნიერო სემინარის მდივანი – (2012–2016, 2025 -დღემდე);
- საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალების რეცენზენტი:
  European Journal of Operational Research (Elsevier) – 2013 წლიდან,
  Transactions of A. Razmadze Mathematical Institute (Elsevier) – 2017 წლიდან,
  Bulletin of TICMI - 2025 წლიდან;
- საერთაშორისო საზოგადოება Multiple Criteria Decision Makimg (MCDM) წევრი.

დამატებითი ინფორმაცია
  წლების მანძილზე კონკურსანტი არის

- ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტების მოხსენებათა შეფასების კომისიის წევრი/მდივანი, სამაგისტრო ნაშრომების დაცვის კომისიის წევრი, დოქტორანტების სასემინარო ნაშრომისა და სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შეფასების კომისიის წევრი, ჯგუფური პროექტების და საბაკალავრო ნაშრომების დაცვის კომისიის წევრი, მაგისტრატურაში მისაღები გამოცდების კომისიის წევრი/თავმჯდომარე, დოქტორანტურაში მისაღები გასაუბრების კომისიის წევრი, კომპიუტერული მეცნიერების დარგობრივი სადისერტაციო საბჭოს წევრი, თსუ-ის/ფაკულტეტის ადმინისტრაციის ბრძანებით შექმნილი კომისიის წევრი/ მდივანი;
- ფლობს ძირითად საოფისე პროგრამებს;
- ენების ცოდნა: ქართული - მშობლიური, რუსული - თავისუფლად, ინგლისური - კარგად.

კომისიის გადაწყვეტილებით საერთო შეფასება IV კატეგორიის ორივე ნაწილში არის „მაღალი“.

კონკურსის პირველი ეტაპის შედეგების შეჯამების საფუძველზე კონკურსანტს მიენიჭა პრეტენდენტის სტატუსი და დაშვებულ იქნა მეორე ეტაპზე - გასაუბრებაზე. გასაუბრება დაინიშნა 24 ივლისს 11:00 საათზე.

შეფასების I ეტაპის დასრულების შემდეგ, დადგენილი პროცედურების დაცვით, **გაიმართა შეფასების მეორე ეტაპი - გასაუბრება**.

გასაუბრების ეტაპზე კომისიის წევრების მიერ პრეტენდენტს დაესვა შეკითხვები მისი სამეცნიერო საქმიანობისა და სამომავლო სასწავლო-სამეცნიერო გეგმების შესახებ.

პრეტენდენტმა მოახსენა კომისიის წევრებს, რომ მისი სამეცნიერო ინტერესების სფერო მოიცავს კომპიუტერული მეცნიერების შემდეგ მიმართულებებს: ფაზი–მეთოდოლოგიები მრავალკრიტე-რიუმიან/მრავალატრიბუტულ ჯგუფურ გადაწყვეტილების მიღების ამოცანებში; ფაზი-აგრეგირების ოპერატორები საექსპერტო ცოდნის ინჟინერიასა და გადაწყვეტილებათა მიღებაში; „რბილი გამოთვლების“ ტექნოლოგიები ინვესტიციების მენეჯმენტში; გადაწყვეტილების მიღების მხარდამჭერი ინტელექტუალური სისტემები: მათი დიზაინის, მათემატიკური მოდელირებისა და პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავების საკითხები.

მიღებული შედეგები გამოქვეყნდა იმპაქტ-ფაქტორის მქონე და სხვა მაღალრეიტინგულ ჟურნალებში და მოხსენებულია მრავალ საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციაზე. პრეტენდენტის თქმით, ის კვლევებს შემდგომშიც იმავე მიმართულებით გააგრძელებს. მან აღნიშნა, რომ ჩამოთვლილი თემები შესაბამისობაშია საუნივერსიტეტო მეცნიერების სპეციფიკასთან, რომელიც სამეცნიერო და სასწავლო თემატიკის მჭიდრო და ბუნებრივ კავშირს გულისხმობს. მან ასევე აღნიშნა, რომ იზიარებს სამეცნიერო და სასწავლო პროცესების ინტეგრირების აუცილებლობას. წლების მანძილზე მაგისტრატურის და დოქტორანტურის სტუდენტები მონაწილეობენ აღნიშნული თემატიკის კვლევებში და კარგ შედეგებს აღწევენ: დაცულია ბევრი სამაგისტრო და სამი სადოქტორო ნაშრომი.

პრეტენდენტი კვლავაც გეგმავს სტუდენტების სამეცნიერო კვლევებში ჩართვას. ის თვლის, რომ ამით სტუდენტებთან ერთად გარკვეულ წვლილს შეიტანს კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის წარმატებით ფუნქციონირების საქმეში.

კომისიამ შეაფასა პრეტენდენტის მაღალი პროფესიული კომპეტენცია, ფართო სამეცნიერო ხედვა, და შემდგომი კვლევების განვითარების მკაფიო გეგმა. მისი პასუხები გამოირჩეოდა სიღრმისეულობითა და არგუმენტირებულობით, რაც ადასტურებს როგორც მის სამეცნიერო, ასევე პედაგოგიურ პოტენციალს. განსაკუთრებით აღსანიშნავია სამომავლო კვლევების მნიშვნელობის გააზრება, აგრეთვე სტუდენტების სამეცნიერო პროცესებში ჩართვის აქტიური მზაობა.

გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ პრეტენდენტის ირინა ხუციშვილის კანდიდატურა სრულ შესაბამისობაშია კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის პრაქტიკული ინფორმატიკის კათედრაზე არსებულ ასოცირებული პროფესორის („ა“ კატეგორია) ვაკანსიის მოთხოვნებთან.

მოქმედი დებულების თანახმად, შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების ურთიერთშეჯერების საფუძველზე კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის მიზნით ჩატარდა ფარული კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობას იღებდა კომისიის ყველა წევრი.

კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის პრაქტიკული ინფორმატიკის კათედრაზე ასოცირებული პროფესორის („ა“ კატეგორია) გამოცხადებულ ერთ ვაკანსიაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად კომისიის ყველა წევრმა ერთხმად (ხუთი მომხრე, არცერთი წინააღმდეგი) დაუჭირა მხარი **ირინა ხუციშვილის** კანდიდატურას.

საკონკურსო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გამართლებულია კომპიუტერულ მეცნირებათა დეპარტამენტის პრაქტიკული ინფორმატიკის კათედრის და ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების საჭიროებით, მათი განვითარების პერსპექტივებით. გადაწყვეტილების მიღებისას კომისია დაეყრდნო პრეტენდენტის წარმატებულ აკადემიურ და სამეცნიერო საქმიანობას (ნაყოფიერი სასწავლო-მეთოდური მუშაობა, მაღალრეინტინგული სამეცნიერო პუბლიკაციები, მაღალი ციტირების ინდექსი, საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობის გამოცდილება). კომისიამ ასევე გაითვალისწინა პრეტენდენტის პიროვნული თუ პროფესიული თვისებები და უნარ-ჩვევები.

კომისიამ ერთხმად დაადგინა:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენ-ტის პრაქტიკული ინფორმატიკის კათედრაზე ასოცირებული პროფესორის („ა“ კატეგორია) ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა პრეტენდენტი ირინა ხუციშვილი;
2. კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმი გადაეცეს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად.

კომისიის წევრების ხელმოწერა

კომისიის თავმჯდომარე,
პროფ. მანანა ხაჩიძე

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე,
პროფ. მაგდა ცინცაძე

კომისიის მდივანი,
ასოც. პროფ. მაია არჩუაძე

კომისიის წევრი,
ასოც. პროფ. ტარიელ ხვედელიძე

კომისიის წევრი,
ასოც. პროფ. გელა ბესიაშვილი